

3. მონაწილე გუნდები

- 3.1 შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები, 2005 წელს დაბადებული ბავშვები, აგრეთვე უცხოეთის გუნდები, რომლებიც გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს.
- 3.2 მატჩების ხანგრძლივობაა 40 წუთი (20-20წთ.), 5 წუთი შესვენებით;
- 3.3 გუნდები ითამაშებენ სისტემით: 1 კარში და 8 წინ.
- 3.4 ქულების დარიცხვა მოხდება შემდეგნაირად: მოგება – 3 ქულა, ფრე – 1 ქულა, წაგება – 0 ქულა;
- 3.5 თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:
 - 3.5.1 მოგებათა მეტი რაოდენობა;
 - 3.5.2 უშუალოდ ერთმანეთთან შეხვედრების შედეგები (ჯერ ქულათა რაოდენობა, შემდეგ – ბურთების უკეთესი სხვაობა);
 - 3.5.3 ჯგუფში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
 - 3.5.4 ჯგუფში გატანილი ბურთების მეტი რაოდენობა;
 - 3.5.5 ფეირ-პლეის შედეგები; თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყოება კენჭისყრა.
 - 3.5.6 იმ შემთხვევაში თუ საჭირო შეიქმნა საუკეთესო მესამე ადგილოსნების გამოვლენა გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპი. პირველად უპირატესობა მიეცემა გუნდს ვისაც მეტი ქულები აქვს დაგროვილი, შემდეგ მიღებული და გაშვებული ბურთების უკეთესი ბალანსი, ხოლო ბოლოს მეტი გატანილი ბურთები. თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყოება კენჭისყრა.
 - 3.5.7 ფლეი-ოფის სტადიაზე, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, დაინიშნება პენალტების სერია (5-5 დარტყმა და თუ საჭირო გახდა, თითო-თითო დარტყმა პირველ გაფუჭებამდე).
- 3.6 გუნდის მწვრთნელი ვალდებულია შეხვედრის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მატჩის ტექნიკურ ოქმში შეიყვანოს მინიმუმ 12 და მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი;
- 3.7 თამაშის ოქმს მატჩის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი;
- 3.8 გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერის ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს;
- 3.9 ფედერაცია ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მორიგე სამედიცინო დახმარების მანქანა, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;
- 3.10 ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;
- 3.11 მატჩების დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

4. გუნდების განაცხადების გაფორმება

- 4.1 გუნდებმა განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2017 წლის 20 მაისისა.
- 4.2 თითვეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზემპლარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 12, მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი.
- 4.3 რეგიონებიდან ჩამოსულ გუნდებს განაცხადზე უნდა ჰქონდეთ რეგიონალური ფედერაციის ბეჭედი.
- 4.4 განაცხადთან ერთად გუნდებმა უნდა წარმოადგინონ საგამანათლებლო სკოლის ცნობა, ასაკის ჩვენებით დამტკიცებული დირექტორის ბეჭდით.
- 4.5 გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის ჯამთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ბეჭდით